



ბრძანება
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის
თავმჯდომარე



ქ.თბილისი

“ 31 ” 01 2018 წ

№ 62

სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ საჯარო ინფორმაციის ასლის
გადაღების მოსაკრებლის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 38-ე მუხლის, „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 18 იანვრის №1/5 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დებულების მე-6 მუხლის „პ“ და „ჟ“ პუნქტების საფუძველზე


ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტიდან საჯარო ინფორმაციით დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიულ პირებისათვის დაწესებული საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდა განხორციელდეს სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე, საბანკო დაწესებულების მეშვეობით.
2. ადმინისტრაციული ორგანოები ასლის გადაღების მოსაკრებელს იხდიან კანონით დადგენილი წესით.
3. სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტი მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის ასლს გასცემს დაინტერესებული პირის მიერ საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ.

4. 2018 წლის 01 თებერვლიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის გარეშე, გაიცემა ერთი პირის, ხოლო ერთობლივი მოთხოვნის შემთხვევაში პირების მიერ, გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია, რომლის ასლის გადაღების მოსაკრებლის ოდენობა, ერთი მოთხოვნის ფარგლებში არ აღემატება 5 ლარს.
5. ამ ბრძანების მე-4 მუხლის მოქმედება არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც ერთი ან რამდენიმე მოთხოვნა გამომდინარეობს ან შეიძლება გამომდინარეობდეს ერთი საქმიდან, (მოთხოვნების ხელოვნურად დაყოფა) რა შემთხვევაშიც, გაცხადებული მოთხოვნა ან მოთხოვნები შეფასებული იქნება, როგორც ასლის გადაღების მოსაკრებლისგან თავის არიდების ქმედება.
6. დაევალოს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ყველა სტრუქტურულ ერთეულს, ან იმ თანამშრომლებს, რომლებიც უფლებამოსილი არიან საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღებისას და მის გაცემისას, იხელმძღვანელონ წინამდებარე ბრძანებით და „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის სხვა პუნქტებით.
7. დაევალოს დეპარტამენტის ადმინისტრაციულ სამმართველოს, ასევე საერთო სასამართლოების არქივს, წინამდებარე ბრძანების ასლის, ადმინისტრაციულ შენობაში, ასევე იმ ოთახებში, საიდანაც ხორციელდება საჯარო ინფორმაციის შესახებ ასლების გაცემა, წინამდებარე ბრძანების თვალსაჩინო ადგილას განთავსება.
8. ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 01 თებერვლიდან.
9. დაევალოს ადმინისტრაციულ სამმართველოს დაინტერესებულ პირთათვის წინამდებარე ბრძანების კანონით დადგენილი წესით გაცნობა.
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის

თავმჯდომარე



შოთა ქარჩავა